A NECESSARY BOOK

მეტად სასარგებლო, საჭირო წიგნი

მაგდანა გურგულიანი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

Magdana Gurguliani
Georgian National Academy of Sciences

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრიფით გამოვიდა ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, პროფესორ ნოდარ გრძელიშვილის მონოგრაფია ,,ტურიზმოლოგია, მეცნიერება ტურიზმის შესახებ". წიგნი მრავალმხრივ საინტერესოა. თავისთავად ტურიზმი დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოს საქმიან რუკაზე რელიეფურად მოსჩანს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება ტურიზმის როლი. ამდენად, ტურიზმის, როგორც დარგის კვლევას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. სარეცენზიო წიგნში განხილულია ტურიზმის კვლევის სხვადასხვა ასპექტები. ტურიზმის ისტორია, მისი განვითარების ტენდენციები.

წიგნი შედგება შესავალის, ცხრა თავისა და დასკვნისაგან. ნიშანდობლივია, რომ ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ტურიზმის თეორიას. შემოტანილია ტერმინი ,,ტურიზმოლოგია", რასაც აქვს დეფინიცია: ,,ტურიზმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც კრებს და აერთიანებს ტურიზმის შემსწავლელი სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის მონაცემებს და ახდენს ტურიზმის ერთიანი კონცეფციის ფორმირებასა და განვითარებას." საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტურიზმს მეცნიერების სხვადასხვა დარგები (ისტორია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, გეოგრაფია, ეკოლოგია, ეკონომიკა და სხვ.) შეისწავლიან. მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ტურიზმის შესწავლა ეკონომიკური მეცნიერების პრეროგატივაა. გამოყენებულია ცნობილი მეცნიერების დაკვირვება-კვლევები, ,,საქსტატის" ინფორმაცია. ტურისტული ინდუსტრიის განვითარების შესახებ, ავტორი მიმოიხილავს რა სხვადასხვა ტერმინებს (,,ტურიზმომეტრია," ,,ტურისტიკა," ,,ტუროლოგია," ,,ტურიზმმცოდნეობა") დაასკვნის, რომ ,,ტურიზმოლოგია" ყველაზე კარგად ესადაგება ტურიზმის არსს.

წიგნის პირველ თავში მიმოხილულია ტურიზმის კვლევისა და შესწავლის ფილოსოფიური ასპექტები. ხაზგასმულია, რომ ტურიზმი არის მულტიდისციპლინარული მოვლენა. პროფესორი ნ. გრძელიშვილი ხაზს უსვამს, რომ ტურიზმოლოგიაში არსებობს თავისებურებები, რომელთა ახსნა შეიძლება მხოლოდ ფილოსოფიის საშუალებით, რომ ტურიზმის ფილოსოფიას აქვს თავისი ისტორიულ-ფილოსოფიური ტრადიცია. ტურიზმში ხდება ფილოსოფიური ცნებებისა (განვითარება, ჭეშმარიტება, სამართლიანობა, თავისუფლება, პასუხისმგებლობა) და რესურსების გამოყენება. ტურიზმის ფილოსოფია განისაზღვრება თავისებურ სოციალურ-ფენომენოლოგიურ ფენომენოლოგიებად.

სამართლიანად მიუთითებს წიგნის ავტორი, რომ ტურიზმი არის ერთ-ერთი მთავარი იმ საშუალებათაგან, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს ხალხები და გადალახოს ეთნოსეპარატიზმის გამოვლინებები.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს ტურიზმის ეკოლოგიურ ასპექტს. ხაზს უსვამს, რომ ბუნებაზე ტურისტული ზემოქმედების ყოველწლიურ ზრდას აქვს საშიში ხასიათი. ტურიზმის ზრდის პირობებში სავარაუდოა ეკოლოგიური პრობლემების გაზრდაც. ამიტომ, სამართლიანადაა დასმული საკითხი გარემოს დაცვის აუცილებლობაზე.

პროფესორი ნოდარ გრძელიშვილი ყურადღებას ამახვილებს ტურიზმის შინაგან წინააღმდეგობაზე. საქმე ისაა, რომ ტურიზმის გლობალიზაცია იწვევს ეროვნული კულტურის დევალვაციას (განსაკუთრებით უპასუხისმგებლო ორგანიზატორების ხელში). ტურიზმი არ უნდა გადაიქცეს კომერციულ, დეკორატიულ სფეროდ.

ავტორის დამსახურებაა, რომ წიგნში საინტერესოდაა წარმოდგენილი ტურიზმის განვითარების ისტორია. ხაზგასმულია, რომ ტურიზმის თანამედროვე ეტაპი დაიწყო XX საუკუნის შუა ხანებიდან და ეკონომიკის განვითარებად დარგად იქცა. ავტორს მოცემული აქვს ტურიზმისა და მოგზაურობათა რეტროსპექტული ანალიზი. მიმოხილული აქვს საქართველოს ძველი სავაჭრო-სატრანსპორტო და სამოგზაურო გზების ისტორია. ამასთან ერთად მონოგრაფიაში გარკვეული ადგილი ეთმობა ძველი დროის ქართველ მოგზაურებს (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი, რაფიელ დანიბეგაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები); წარმოაჩენს. უცხოელ მკვლევრებსა და მოგზაურებს (მარკო პოლო, რუი გონსალეს დე კლავიხო, იოსაფატ ბარბარო, დონ პიეტრო ავიტაბლე, დონ ჯაკომო დი სტეფანო, ჯუზეპე ჯედიჩე, შარდენი და სხვ.).

მონოგრაფიის მესამე თავში გადმოცემულია ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, სადაც ძირითადია ეკონომიკური, ეკო-ლოგიური, უსაფრთხოებისა და სოციალურ-კულტურული ასპექტები. წარმოდგენილია ტურიზმის განვითარების შედეგად მიღებული სოცია-ლურ-ეკონომიკური სარგებელი (მცხოვრებთა დასაქმება, სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტი, უცხოური ვალუტის შემოტანა და სხვა სიკე-თეები). ავტორი მიუთითებს ეკონომიკური სარგებლიანობის გაძლიერების სხვადასხვა მეთოდებზე (იმპორტის წილის შემცირება, ადგილობრივი წარმოების საქონლის მოცულობის გაზრდა, ადგილობრივი დასაქმება).

მნიშვნელოვანია მონოგრაფიის ავტორის გაფრთხილება, რომ ქვეყა-ნაში ტურიზმის არასწორმა განვითარებამ (ტურების არასწორი დაგეგმვა, დამთვალიერებლების გადატვირთვა და სხვა) შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური და ეკოლოგიური კატასტროფები. ამასთან, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია ზრუნვა დადე-ბითი ეკოლოგიური შედეგების მიღებისათვის. ამიტომ საჭიროა: უწყვეტი პრინციპების უზრუნველყოფა, დროული გაფრთხილება, რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაძლიერება.

პროფ. ნ. გრძელიშვილი საგანგებოდ ჩერდება ტურისტულ მოძრაობაში ტურიზმის პრობლემაზე. მასობრივმა არეულობებმა, (განსაკუთრებით ტურიზმის აქტებმა) მსოფლიოს ბევრ ქალაქში ტურისტების საგრძნობი კლება გამოიწვია.

მართებულია მონოგრაფიის ავტორის მკვეთრი ხაზგასმა, რომ დღესდღეობით ტურიზმი არის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება. სწორედ იგი განაპირობებს რესურსული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას და ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრას. არ არის შემთხვევითი, რომ სპეციალისტთა აზრით ტურიზმი მაღალი შემოსავლის მიღების წყაროა.

პრაქტიკული, დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელია ნოდარ გრძელიშვილის პათოსი, რომ ტურიზმს მივუდგეთ, როგორც ეკონომიკის მსხვილ დამოუკიდებელ კომპლექსს. გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმი მასტიმულირებელია ქვეყანაში სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის.

ავტორი დეტალურად ჩერდება საინფორმაციო ტექნოლოგიების როლზე და მათ დიდ მნიშვნელობაზე საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში; საქართველოში არსებული ტურისტული მარშრუტების მნიშვნელობაზე. გარჩეული აქვს ევროპული (ღვინის, ებრაული მემკვიდრეობის, პრეისტორიული კლდის ხელოვნების, თერმული ქალაქების) და ლოკალური (ალექსანდრე დიუმას, გერმანული დასახლებების, წმ. ანდრია პირველწოდებულის გზა) მარშრუტების მნიშვნელობა. აქვეა ხაზგასმული საქართველოს ინტეგრირების საკითხი ტრანსნაციონალურ მარშრუტებში.

მონოგრაფიის მეოთხე თავი მიძღვნილია საქართველოს ტურიზმის ძირითადი მიმართულებებისადმი, ხაზგასმულია, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმი, რომ საქართველო გამორჩეულია მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალითა და მრავალფეროვნებით. ყურადღებაა გამახვილებული ტურიზმის მართვაში რეგიონული მიდგომისადმი. სწორედ ტურისტული რეგიონების საზღვრების ფარგლებში ფორმირდება რეგიონული ტურისტული კომპლექსები. მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ყველა მხარე (რეგიონი) ფლობს ტურისტულ პოტენციალს. მონოგრაფიის ავტორს მართებულად მიაჩნია, რომ სწორედ რეგიონული შიდა ტურიზმი უნდა იქცეს ადგილობრივი ეკონომიკის ათვლის წერტილად. - მან უნდა გახადოს შესაძლებელი ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურება, არსებული ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების საფუძველზე ხარისხიანი ტურპროდუქტის შეთავაზება.

წინამდებარე მონოგრაფია თეორიული ხასიათისაა, ამდენად, სრულიად კანონზომიერია, რომ მეხუთე თავი ეძღვნება ტურიზმის თეორიის განვითარების ეტაპებსა და კვლევის კონცეფციებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ტურიზმის სოციოლოგიური კვლევის უცხოურ პრაქტიკაზე, შესაბამისად ახალი დარგის - ტურიზმის სოციოლოგიის წარმოქმნასთან, ნ. გრძელიშვილი სამეცნიერო ლიტერატურის (ე. კოჰენი, რ. ბახლაიტნერი) ანალიზის შემდეგ გამოჰყოფს ტურიზმის სამ ასპექტს: ეკონომიკურს, ისტორიულსა და სოციოკულტურულს, რომ ტურიზმი გახდა თანამედროვე

საზოგადოების ჩვეულებრივი პრაქტიკა; მჭიდრო კავშირია ტურიზმის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემებსა და გლობალიზაციის პრობლემებთან.

მონოგრაფიაში საინტერესოდაა ჩამოყალიბებული ტურიზმის სახეობები: 1. ტურიზმი დასკვნების მიზნით, 2. რეკრეაციული ტურიზმი, 3. სამკურნალო ტურიზმი, 4. კულტურული ტურიზმი, 5. რელიგიური ტურიზმი, 6. საზოგადოებრივი ტურიზმი, 7. ბიზნეს ტურიზმი, 8. ეკოლოგიური ტურიზმი, 9. აგროტურიზმი, 10. სპორტული ტურიზმი. ნიშანდობლივია, რომ ტურიზმის ზემოჩამოთვლილ სახეობას ავტორი განმარტებებს აძლევს.

მონოგრაფიის მეექვსე თავში ნოდარ გრძელიშვილი წარმოადგენს ტურიზმის თეორიის ძირითად პარადიგმებს. აღნიშნავს, რომ არსებული კვლევები საშუალებას იძლევა შეიქმნას ტურისტების კლასიფიკაცია, მიანიშნებს, რომ ბოლო დროს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებაში იზრდება ინტერესი ტურიზმის შესწავლისადმი. ნიშანდობლივია, რომ ტურიზმს აანალიზებენ, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც იწვევს ცვლილებებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

წიგნის მეშვიდე თავში ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის თავისებურებებისადმი. ავტორს სრულიად სამართლიანად მიაჩნია, რომ ტურისტული საქმიანობის მნიშვნელოვანი საფუძველია ,,ტურიზმი“ და ,,რეკრეაცია“! ხაზგასმულია, რომ ეს ორი ტერმინი (ცნებები) მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ავტორი მათ შორის განსხვავებასაც ხედავს და ორივე ტერმინის დეფინიციასაც წარმოადგენს.

წიგნში დეტალურადაა წარმოდგენილი და განმარტებული ტურიზმის როლიც - ეკონომიკური რესურსები (ინფორმაციული, შრომითი და საგანმანათლებლო, ფინანსური, მატერიალური, მმართველობითი, ინფრასტრუქტურა). მონოგრაფიის ავტორი ყველაზე მიზანშეწონილად მიიჩნევს იმ კვალიფიკაციის გამოყენებას, როგორიცაა ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური, მიიჩნევს, რომ ამგვარი ახალი კლასიფიკაცია სრულად ასახავს ნებისმიერი რეგიონის რესურსულ მდგენელს.

მონოგრაფიის ღირსებაა, რომ მასში გამოწვლლვითაა გაშუქებული ტურიზმის, როგორც მეცნიერების თეორიული საკითხები. მითითებულია, რომ ბოლო ათწლეულში ტურიზმის კვლევის არეალი გაფართოვდა. გამოიკვლევა: ტურიზმის მეცნიერების საფუძვლები (თეორიული ტურისტიკა, მეთოდოლოგია, ტურიზმის ისტორია, მართვა და სხვ.), ტურიზმის სახეობები: (სოციალური, კოოპერაციული, საექსპედიციო ტურიზმი), შეისწავლება დარგობრივი პრობლემები (პედაგოგიური პოტენციალი და პროფესიული განათლების პრობლემები). დასკვნა ასეთია, ტურიზმის შესახებ მეცნიერება კომპლექსური დისციპლინათშორისია. მონოგრაფიის ავტორი სრულიად მართებულად მხარს უჭერს მსოფლიო ტურიზმის დეკლარაციაში მითითებულ დებულებას, რომ ტურისტული ინდუსტრიის მომზადების სფეროში სპეციალისტების მომზადება უნდა გახდეს ახალ-

გაზრდობის სწავლების ნაწილი; ამასთან არსებითია ტურიზმის შეტანა სასწავლო პროგრამაში. მონოგრაფია აშკარად მიანიშნებს, რომ ტურიზმის შესწავლა ვერ შემოისაზღვრება ერთი მეცნიერებით. იგი სხვადასხვა მეცნიერების (ეკონომიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფსიქოლოგია, მარკეტინგი და სხვ.) გამოყენებით შეიძლება იყოს შესაძლებელი. ტურიზმის მზარდი როლი ამ დარგის შემსწავლელი მეცნიერების განვითარებასაც განაპირობებს.

პროფესორი ნოდარ გრძელიშვილი დასასრულს (მეცხრე თავი) მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ტურიზმოლოგიის (მეცნიერებას ტურიზმის შესახებ) თეორიულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებსაც. ნიშანდობლივია, რომ ცნება ,,ტურიზმოლოგია" მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა წინამდებარე მონოგრაფიის ავტორმა, რომელიც განმარტავს, რომ ,,ტურიზმოლოგია" ყველაზე წარმატებული კონცეფტუალური სახით ასახავს ტურიზმის არსს. ეს ცნება შეესაბამება თეორიების წარმოშობის ტრადიციას და ეფუძნება ობიექტის კანონზომიერების ცოდნას. ტერმინი ხაზს უსვამს ტურიზმის შესახებ ცოდნის ფუნდამენტურ ხასიათს. ავტორის პათოსია, რომ დაინერგოს ტერმინი ,,ტურიზმოლოგია", ე.ი. ეს სახელი ეწოდოს მეცნიერებას ტურიზმის შესახებ. წარმოდგენილი მასალა, დასაბუთება სავსებით ადასტურებს ნ. გრძელიშვილის წარმოდგენილ დებულებას.

ვფიქრობთ, მონოგრაფიაში პროფესორ ნოდარ გრძელიშვილის მიერ წარმოდგენილი მასალა ფრიად მნიშვნელოვანია. მასში ბევრი სიახლეა, გამოცემა რეალურად ავსებს იმ ნაწილს, რაც დღესდღეობით ტურიზმის პრობლემების გამორკვევა-შესწავლაში არსებობს.

წიგნი მეტად სასარგებლოა ტურიზმით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.